385
1964/2

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 8 (241) 20 მარტი 1964 წელი

შინაარსი

ნაწილი I

განყოფილება პირველი

134. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საბჭოთა კავშირ-დაგომეის სავაჭრო შეთანხმების რატიფიკაციის შესახებ.

135. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ატლანტის ოკეანის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში თევზჭერის თაობაზე დადებული საერთაშორისო კონვენციის ოქმის რატიფიკაციის შესახებ.

136. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა იმ შეთანხმების რატიფიკაციის შესახებ, რომ სსრ კავშირის მთავრობამ დამატებითი კრედიტი მისცეს არაბეთის გაერთიანებული რესპუბლიკის მთავრობას არაბეთის გაერთიანებული რესპუბლიკის ეკონომიური განვითარების მიზნებისათვის.

განყოფილება მეორე

137. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. ა. პოსკონოვის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

138. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მწერალ ს. პ. ზალიგინის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

139. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა პროფესორ ა. ე. კოვარსკის „საპატიო ნიშნის" ორდენით დაჯილდოების შესახებ.

140. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ს. ვ. სტეფანიკის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

141. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა აკადემიკოს ა. ი. ალიხანოვის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

142. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საბჭოთა არმიის ეფრეიტორების ვ. ფ. ლიტაუს და ა. ი. ტროშჩინსკის წითელი ვარსკვლავის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

143. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხანაგ ოტო გროტევოლის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

144. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა აკადემიკოს ი. ვ. ობრეიმოვის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

145. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ტექნიკური ჯარების გენერალ-პოლკოვნიკ ი. ფ. ჩუხნოვის წითელი ვარსკვლავის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

146. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტ ს. გ. ბარხუდაროვის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

147. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ჟურნალ „რაბოტნიცას" ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

148. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ჟურნალ „რაბოტნიცას" მუშაკებისა და მუშკორთა აქტივის მედლით „შრომითი მამაცობისათვის" დაჯილდოების შესახებ.

განყოფილება მესამე

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეს ი. ე. კალნბერზინს რწმუნების სიგელები გადასცა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ნ. ლუვსანჩულტემმა.

ცნობა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატების ა. ი. ბარაევის და ნ. მ. სკომოროხოვის არჩევნების შესახებ.

ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში მომხდარ ცვლილებათა შესახებ.

ნაწილი II

განყოფილება პირველი

149. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიებზე დეპუტატების მიერ შეტანილი საკითხების განხილვის მდგომარეობის შესახებ.

150. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების მიერ ამომრჩევლებისათვის ანგარიშების ჩაბარების მდგომარეობის შესახებ.

151. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ნადირობის წესების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ.

განყოფილება მეოთხე

152. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ჟურნალ „მნათობის" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

153. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. კ. ი. კოკხირიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

განყოფილება მესამე

საინფორმაციო ცნობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაწილი I

განყოფილება პირველი

გრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

134 საბჭოთა კავშირ-დაგომეის სავაჭრო შეთანხმების რატიფიკაციის შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული და სარატიფიკაციოდ წარმოდგენილი სავაჭრო შეთანხმება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და დაგომეის რესპუბლიკას შორის, ხელმოწერილი პორტონოვოში 1963 წლის 10 ივლისს, **რატიფიცირებულ იქნეს.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 11 ნოემბერი.
№ 1855-VI.

გრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

135 ატლანტის ოკეანის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში თევზჭერის თაობაზე დადებული საერთაშორისო კონვენციის ოქმის რატიფიკაციის შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული და სარატიფიკაციოდ წარმოდგენილი ოქმი ატლანტის ოკეანის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში თევზჭერის შესახებ დადებული საერთაშორისო კონვენციისა, ხელმოწერილი საბჭოთა კავშირის წარმომადგენლის მიერ ვაშინგტონში 1963 წლის 18 ივლისს, **რატიფიცირებულ იქნეს.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 13 მარტი.
№ 2305-VI.

გრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

136 იმ შეთანხმების რატიფიკაციის შესახებ, რომ სსრ კავშირის მთავრობამ დამატებითი კრედიტი მისცეს არაბეთის გაერთიანებული რესპუბლიკის მთავრობას არაბეთის გაერთიანებული რესპუბლიკის ეკონომიური განვითარების მიზნებისათვის

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული და სარატიფიკაციოდ წარმოდგენილი შეთანხმება იმის შესახებ, რომ საბჭოთა სოციალისტური

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესპუბლიკების კავშირის მთავრობამ დამატებითი კრედიტი მისცეს არაბეთის გაერთიანებული რესპუბლიკის მთავრობას არაბეთის გაერთიანებული რესპუბლკის ეკონომიური განვითარების მიზნებისათვის, ხელმოწერილი მოსკოვში 1963 წლის 18 ივნისს, **რატიფიცირებულ იქნეს.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 13 მარტი.
№ 2306-VI.

განყოფილება მეორე

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

137 ამხ. ა. ა. პოსკონოვის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

ფინანსების დარგში დამსახურებისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის გამგეობის თავმჯდომარე ამხ. ალექსი ანდრიას ძე **პოსკონოვი** დაჯილდოვდეს **ლენინის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 5 მარტი.
№ 2282-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

138 მწერალ ს. პ. ზალიგინის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით მწერალი სერგი პავლეს ძე **ზალიგინი** დაჯილდოვდეს **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 6 მარტი.
№ 2283-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

139 პროფესორ ა. ე. კოვარსკის „საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოების შესახებ

სიმინდის ახალი მაღალპროდუქტიული ჯიშებისა და ჰიბრიდების გამოყვანის დარგში დამსახურებისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით კიშინიოვის მ. ვ. ფრუნზეს სახელობის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პროფესორი ანატოლი ექვთიმეს ძე **კოვარსკი** დაჯილდოვდეს „**საპატიო ნიშნის**“ ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 6 მარტი.

№ 2284-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

140 ამხ. ს. ვ. სტეფანიკის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დამსახურებისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით ლვოვის მშრომელთა დეპუტატების საოლქო (სასოფლო) საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. სიმონ ვასილის ძე **სტეფანიკი** დაჯილდოვდეს **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 7 მარტი.

№ 2291-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

141 აკადემიკოს ა. ი. ალიხანოვის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით სსრ კავშირის ატომური ენერგიის გამოყენების სახელმწიფო კომიტეტის თეორიული და ექსპერიმენტული ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი აკადემიკოსი აბრამ ისაკის ძე **ალიხანოვი** დაჯილდოვდეს **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 7 მარტი.

№ 2292-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

142 საბჭოთა არმიის ეფრეიტორების ვ. ფ. ლიტაუს და ა. ი. ტროშჩინსკის წითელი ვარსკვლავის ორდენით დაჯილდოების შესახებ

ხანძრის ჩაქრობის დროს გამოჩენილი მამაცობისა და თავგანწირულებისათვის ეფრეიტორები ვლადიმერ ფილიპეს ძე **ლიტაუ** და ალექსანდრე ივანეს ძე **ტროშჩინსკი** დაჯილდოვდნენ **წითელი ვარსკვლავის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 7 მარტი.

№ 2293-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

143 ამხანაგ ოტო გროტევოლის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

მშვიდობისა და სოციალიზმის საქმის, საბჭოთა და გერმანელ ხალხებს შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის განმტკიცებაში ამხანაგ ოტო გროტევოლის დამსახურების აღსანიშნავად და დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხანაგი **ოტო გროტევოლი** დაჯილდოვდეს **ლენინის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 10 მარტი.

№ 2299-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

144 აკადემიკოს ი. ვ. ობრეიმოვის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

ფიზიკური ოპტიკის და მყარი სხეულის ფიზიკის განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით აკადემიკოსი ივანე ვასილის ძე **ობრეიმოვი** დაჯილდოვდეს **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 11 მარტი.

№ 2302-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

145 ტექნიკური ჯარების გენერალ-პოლკოვნიკ ი. ფ. ჩუხნოვის წითელი ვარსკვლავის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა არმიის წინაშე დამსახურებისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით ტექნიკური ჯარების გენერალ-პოლკოვნიკი ივანე ფილიპეს ძე **ჩუხნოვი** დაჯილდოვდეს **წითელი ვარსკვლავის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 11 მარტი.
№ 2303-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

146 სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტ ს. ბ. ბარხუდაროვის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

ფილოლოგიის დარგში დამსახურებისათვის, სამეცნიერო და პედაგოგიური კადრების მომზადებისათვის და დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი სტეფანე გრიგოლის ძე **ბარხუდაროვი** დაჯილდოვდეს **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 11 მარტი.
№ 2304-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

147 ჟურნალ „რაბოტნიცას" ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა ქალების იდეურ-პოლიტიკური აღზრდის ხაზით გაწეული დიდი მუშაობისათვის და კომუნიზმის მშენებლობაში მათი აქტიური ჩაბმისათვის, დაარსების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით ჟურნალი „რაბოტნიცა" დაჯილდოვდეს **ლენინის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 14 მარტი.
№ 2308-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

148 ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ჟურნალ „რაბოტნიცას“ მუშაკებისა და მუშაკართა აქტივის მედლით „შრომითი მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ

ჟურნალ „რაბოტნიცას“ დაარსების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით და იმ დიდი მუშაობის გამო, რაც ჟურნალში გაწიეს საბჭოთა ქალების იდეურ-პოლიტიკური აღზრდისა და კომუნიზმის მშენებლობაში მათი აქტიური მონაწილეობისათვის მიზიდვის მიზნით, **დაჯილდოვდნენ:**

მედლით „შრომითი მამაცობისათვის“

1. ალექსანდრა ვასილის ასული **არტიუხინა** — ჟურნალ „რაბოტნიცას“ ძველი თანამშრომელი.

2. ალექსანდრა ალექსანდრეს ასული **აშმარინა** — ჟურნალ „რაბოტნიცას“ ძველი თანამშრომელი.

3. მიროსლავ კაზიმირის ძე **ბუჟკევიჩი** — ჟურნალ „რაბოტნიცას“ რედაქციის განყოფილების გამგე.

4. ვალენტინა ევგენის ასული **ვავილინა** — ჟურნალ „რაბოტნიცას“ მთავარი რედაქტორი.

5. ევდოკია ივანეს ასული **ვიშნიაკოვა** — ჟურნალ „რაბოტნიცას“ ყოფილი თანამშრომელი.

6. ვალერია ანატოლის ასული **გერასიმოვა** — მწერალი, ჟურნალ „რაბოტნიცას“ საზოგადოებრივი სარედაქციო კოლეგიის წევრი.

7. მარია გრიგოლის ასული **ერშოვა** — მწერალი.

8. კლავდია ვასილის ასული **იგოშინა** — სადგურ ორიოლის ვოგზლის უფროსის მოადგილე, ჟურნალ „რაბოტნიცას“ აქტიური მუშაკორი.

9. კლავდია ევგენის ასული **კიზილოვა** — ქალ. დნეპროძერჟინსკის ქალთა საქალაქო საბჭოს თავმჯდომარე, ჟურნალ „რაბოტნიცას“ აქტიური მუშაკორი.

10. ნინა ვასილის ასული **კოლესნიკოვა** — გაზეთ „პრავდის“ სტამბის მემონტაჟე.

11. ელენე ვიქტორის ასული **კონონენკო** — ჟურნალისტი, ჟურნალ „რაბოტნიცას“ საზოგადოებრივი სარედაქციო კოლეგიის წევრი.

12. ლიდია დიმიტრის ასული **ლოგუნოვა** — გაზეთ „პრავდის“ სტამბის ფოტოგრაფი — რეპროდუქციონერი.

13. სერაფიმა ტიმოთეს ასული **ლიუბიმოვა** — ჟურნალ „რაბოტნიცას“ ძველი თანამშრომელი.

14. იაკობ ექვთიმეს ძე **მიროშნიჩენკო** — ჟურნალ „რაბოტნიცას“ მხატვარი-გამფორმებელი.

15. ეკატერინე დემენტის ასული **მიშინა** — მოსკოვის მეტროპოლიტენის ელმავლის მემანქანე, ჟურნალ „რაბოტნიცას“ საზოგადოებრივი სარედაქციო კოლეგიის წევრი.

16. ანტონინა ივანეს ასული **ნუხრატი** — ჟურნალისტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

17. ნინა პეტრეს ასული **ოგურცოვა** — საკისრების პირველი სახელმწიფო ქარხნის საკონტროლო ოსტატი, ჟურნალ „რაბოტნიცას“ აქტიური მუშაკორი.

18. ალექსანდრა ივანეს ასული **როდიონოვა** — ჟურნალ „რაბოტნიცას“ ერთ-ერთი პირველი მუშაკორი და თანამშრომელი.

19. ანა ალექსის ასული **სევერიანოვა** — ჟურნალ „რაბოტნიცას“ საზოგადოებრივი სარედაქციო კოლეგიის წევრი.

20. ელენე პავლეს ასული **ტარასოვა** — ჟურნალ „რაბოტნიცას“ რედაქციის განყოფილების გამგე.

21. ელენე დიმიტრის ასული **ფილიპოვა** — ჟურნალ „რაბოტნიცას“ ძველი თანამშრომელი.

22. მარიამ ალექსანდრეს ასული **შაბუროვა** — ჟურნალ „რაბოტნიცას ყოფილი მთავარი რედაქტორი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 14 მარტი.

№ 2309-VI.

განყოფილება მესამე

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეს ი. ე. კალნბერზინს რწმუნების სიგელები გადასცა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ნ. ლუვსანჩულტემმა

9 მარტს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ ი. ე. კალნბერზინმა კრემლში მიიღო მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ნიამინ ლუვსანჩულტემი, რომელმაც გადასცა თავისი რწმუნების სიგელები.

ელჩს ახლდნენ საელჩოს მრჩევლები გ. სუმია, ჩ. ავირმედი, მ. ჩიმიდორჟი. პირველი მდივნები ს. დორჟპალამი, დ. ლუვსან-ენდონი, მეორე მდივნები ჟ. ცამბა, პ. ნამსრაიდორჟი, დ. ჩულტემი, დ. ხიშიგსურენი, მესამე მდივანი ნ. პურევჟავი, ატაშეები დ. ნავანი, დ. დორჟპალამი.

რწმუნების სიგელების გადაცემას ესწრებოდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. პ. გიორგაძე, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ვ. ვ. კუზნეცოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს შორეული აღმოსავლეთის განყოფილების გამგე ნ. გ. სუდარიკოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საგარეო კავშირურთიერთობათა განყოფილების გამგის მოადგილე ა. ლ. ზორინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს განყოფილებათა გამგეების მოადგილეები ვ. ვ. კარიაგინი და ა. ი. ელიზავეტინი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რწმუნების სიგელების გადაცემისა და მას შემდეგ, რაც სიტყვებით ძმართეს ერთმანეთს, ი. ე. კალნბერზინსა და ნ. ლუვსანჩულტემს შორის გაიმართა საუბარი, რომელმაც ჩაიარა გულთბილ, ამხანაგურ ვითარებაში. საუბარში მონაწილეობა მიიღეს მ. პ. გიორგაძემ და ვ. ვ. კუზნეცოვმა.

ც ნ ო ბ ა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატების ა. ი. ბარაევის და ნ. მ. სკომოროხოვის არჩევნების შესახებ

1963 წლის 22 დეკემბერს გაიმართა ეროვნებათა საბჭოს დეპუტატების არჩევნები ყაზახეთის სსრ პეტროპავლოვსკის № 118 სასოფლო საარჩევნო ოლქსა და 648-ე საარჩევნო ოლქში.

ეროვნებათა საბჭოს დეპუტატებად არჩეული არიან:

ალექსანდრე ივანეს ძე **ბარაევი**, დაბადებული 1908 წელს, სკკპ წევრი, მარცვლეულის მეურნეობის სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის დირექტორი, — პეტროპავლოსკის № 118 სასოფლო საარჩევნო ოლქიდან;

ნიკოლოზ მიხეილის ძე **სკომოროხოვი**, დაბადებული 1920 წელს, სკკპ წევრი, გენერალ-მაიორი, — 648-ე საარჩევნო ოლქიდან.

ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში მომხდარ ცვლილებათა შესახებ

რ ს ფ ს რ

რსფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1964 წლის 25 თებერვლის, 2, 3, და 4 მარტის ბრძანებულებებით რსფსრ მთელ რიგ მხარეებსა და ოლქებში შეიქმნა ახალი სასოფლო რაიონები, შეიცვალა ზოგიერთი რაიონის სახელი, დასახლებული პუნქტების დაქვემდებარება, მოხდა აგრეთვე სხვა ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ცვლილებანი. დამტკიცებულია ანალოგიური გარდაქმნები, რაც მოხდა ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმების დადგენილებებით.

ალტაის მხარე

შეიქმნა სასოფლო რაიონები:

კლიუჩისა, ცენტრი — სოფელი **კლიუჩი**.

კრასნოშჩეკოვოსი, ცენტრი — სოფელი **კრასნოშჩეკოვო**;

კიტმანოვოსი, ცენტრი — სოფელი **კიტმანოვო**;

როდინოსი, ცენტრი — სოფელი **როდინო**;

სოლტონისა, ცენტრი — სოფელი **სოლტონი**;

ტიუმენცევოსი, ცენტრი — სოფელი **ტიუმენცევო**.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალტაის მხარის მთიანი ალტაის ავტონომიური ოლქი

შეიქმნა **უსტ-კოკსას** სასოფლო რაიონი, ცენტრი — სოფელი **უსტ-კოკსა**.

კრასნოდარის მხარე

შეიქმნა სასოფლო რაიონები:
კორენოვსკისა, ცენტრი — ქალაქი **კორენოვსკი**;
კურგანინსკისა, ცენტრი — ქალაქი **კურგანინსკი**;
ლენინგრადსკაიასი, ცენტრი — სტანიცა **ლენინგრადსკაია**;

ზღვისპირეთის მხარე

შეიქმნა **პოგრანიჩნის** სასოფლო რაიონი. ცენტრი — მუშათა ახალშენი **პოგრანიჩნი**.

სტავროპოლის მხარე

შეიქმნა სასოფლო რაიონები:
არზგირისა, ცენტრი — სოფელი **არზგირი**;
ნოვოალექსანდროვსკაიასი, ცენტრი — სტანიცა **ნოვოალექსანდროვსკაია**;
კრასნოგვარდეისკოეს სასოფლო რაიონის ცენტრად დამტკიცებულია სოფელი **კრასნოგვარდეისკოე**.

ამურის ოლქი

შეიქმნა სასოფლო რაიონები:
არხარისა, ცენტრი — მუშათა ახალშენი **არხარა**;
მაზანოვსკისა, ცენტრი — სოფელი **ნოვოკიევსკი უვალი**.

ასტრახანის ოლქი

შეიქმნა **ჩორნი იარის** სასოფლო რაიონი, ცენტრი — სოფელი **ჩორნი იარი**.

ბელგოროდის ოლქი

შეიქმნა სასოფლო რაიონები:
ივნიასი, ცენტრი — სოფელი **ივნია**;
კრასნოგვარდეისკოესი, ცენტრი — სოფელი **კრასნოგვარდეისკოე**.

ბრიანსკის ოლქი

შეიქმნა **ტრუბჩევსკის** სასოფლო რაიონი. ცენტრი — ქალაქი **ტრუბჩევსკი**.
მუშათა ახალშენი **ცემენტნი** განეკუთვნა რაიონული დაქვემდებარების ქალაქებს და მას მიეცა ახალი სახელწოდება — ქალაქი **ფოკინო**.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოკინოს მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭო დაექვემდებარა **დიატკოვოს** მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს.

ქალაქი სევსკი შეუერთდა სევსკის სასოფლო რაიონს.

ვლადიმირის ოლქი

შეიქმნა **სტავროვოს** სასოფლო რაიონი, ცენტრი — მუშათა ახალშენი **სტავროვო.**

სობინკას სასოფლო რაიონის ცენტრი გადატანილია ქალაქ სობინკადან მუშათა ახალშენ **ნოვიე პეტუშკიში**, რასთან დაკავშირებითაც სობინკას სასოფლო რაიონი გადარქმეულია **პეტუშკის** სასოფლო რაიონად.

შეუერთდა:

მელენკის სასოფლო რაიონს — ქალაქი მელენკი;

პეტუშკის სასოფლო რაიონს — ქალაქი პოკროვი;

ვლადიმირის სასოფლო რაიონს — ქალაქი სუზდალი;

იურიევ-პოლსკის სასოფლო რაიონს — ქალაქი იურიევ-პოლსკი.

ვოლგოგრადის ოლქი

შეიქმნა სასოფლო რაიონები:

კოტელნიკოვოსი, ცენტრი — ქალაქი **კოტელნიკოვო;**

რუდნიასი, ცენტრი მუშათა ახალშენი **რუდნია;**

სტარაია პოლტავკასი, ცენტრი — სოფელი **სტარაია პოლტავკა;**

ჩერნიშკოვსკისა, ცენტრი — ხუტორი **ჩერნიშკოვსკი.**

ქალაქი კოტელნიკოვო შეუერთდა კოტელნიკოვოს სასოფლო რაიონს.

ვოლოგდის ოლქი

გაუქმდა ჩაგოდეშჩენსკის სამრეწველო რაიონი.

ვორონეჟის ოლქი

შეიქმნა სასოფლო რაიონები:

კანტემიროვკასი, ცენტრი — სოფელი **კანტემიროვკა;**

ტერნოვკასი, ცენტრი — სოფელი **ტერნოვკა.**

გორკის ოლქი

შეიქმნა სასოფლო რაიონები:

ვოსკრესენსკოესი, ცენტრი — მუშათა ახალშენი **ვოსკრესენსკოე;**

სეჩენოვოსი, ცენტრი — სოფელი **სეჩენოვო.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ივანოვოს ოლქი

შეიქმნა **პესტიაკის** სასოფლო რაიონი, ცენტრი — მუშათა ახალშენი **პესტიაკი.**

ირკუტსკის ოლქი

შეიქმნა **ჩერემხოვოს** სასოფლო რაიონი, ცენტრი — ქალაქი **ჩერემხოვო.**

კალინინის ოლქი

შეიქმნა სასოფლო რაიონები:
კალიაზინისა, ცენტრი — ქალაქი **კალიაზინი;**
ლიხოსლავლისა, ცენტრი — ქალაქი **ლიხოსლავლი;**
ოლენინოსი, ცენტრი — მუშათა ახალშენი **ოლენინო.**

კალუგის ოლქი

შეიქმნა **მეშჩოვსკის** სასოფლო რაიონი, ცენტრი — ქალაქი **მეშჩოვსკი.**
შეუერთდა:
კოზელსკის სასოფლო რაიონს — ქალაქი **კოზელსკი;**
მედინის სასოფლო რაიონს — ქალაქი **მედინი;**
სპას-დემენსკის სასოფლო რაიონს — ქალაქი **სპას-დემენსკი;**
ფერზიკოვოს სასოფლო რაიონს — ქალაქი **ტარუსა.**

კიროვის ოლქი

შეიქმნა სასოფლო რაიონები:
დაროვსკოესი, ცენტრი სოფელი **დაროვსკოე;**
სანჩურსკისა, ცენტრი მუშათა ახალშენი **სანჩურსკი.**

კოსტრომის ოლქი

შეიქმნა **ნერეხტას** სასოფლო რაიონი, ცენტრი — ქალაქი **ნერეხტა.**

კურგანის ოლქი

შეიქმნა სასოფლო რაიონები:
გლადიანსკოესი, ცენტრი — სოფელი **გლადიანსკოე;**
მაკუშინოსი, ცენტრი — ქალაქი **მაკუშინო;**
მიშკინოსი, ცენტრი — მუშათა ახალშენი **მიშკინო;**
პოლოვინოესი, ცენტრი — სოფელი **პოლოვინოე.**
კურგანის სასოფლო **რაიონი** გადარქმეულია **კეტოვოს** სასოფლო **რაიონად.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კურსკის ოლქი

შეიქმნა სასოფლო რაიონები:
კასტორნოესი, ცენტრი — მუშათა ახალშენი **კასტორნოე**;
ტიმისა, ცენტრი — მუშათა ახალშენი **ტიმი**.

ლიპეცკის ოლქი

შეიქმნა **დოლგორუკოვოს** სასოფლო რაიონი, ცენტრი — სოფელი **დოლგორუკოვო**.

ნოვგოროდის ოლქი

შეიქმნა **ლიუბიტინოს** სასოფლო რაიონი, ცენტრი—სოფელი **ლიუბიტინო**.

ნოვოსიბირსკის ოლქი

შეიქმნა სასოფლო რაიონები:
ვენგეროვოსი, ცენტრი — სოფელი **ვენგეროვო**;
ჩისტოოზერნოესი, ცენტრი — მუშათა ახალშენი **ჩისტოოზერნოე**.

ომსკის ოლქი

შეიქმნა სასოფლო რაიონები:
კრუტინკასი, ცენტრი — სოფელი **კრუტინკა**;
ნოვოვარშავკასი, ცენტრი — სოფელი **ნოვოვარშავკა**;
სედელნიკოვოსი, ცენტრი — სოფელი **სედელნიკოვო**;
შერბაკულისა, ცენტრი — სოფელი **შერბაკული**.

ორიოლის ოლქი

შეიქმნა **შაბლიკინოს** სასოფლო რაიონი, ცენტრი — სოფელი **შაბლიკინო**.

პენზის ოლქი

შეიქმნა სასოფლო რაიონები:
ბედნოდემიანოვსკისა, ცენტრი — ქალაქი **ბედნოდემიანოვსკი**;
ნიკოლსკისა, ცენტრი — ქალაქი **ნიკოლსკი**.

პერმის ოლქი

შეიქმნა სასოფლო რაიონები:
სუკსუნისა, ცენტრი — მუშათა ახალშენი **სუკსუნი**;
ჩუსოვოისა, ცენტრი — ქალაქი **ჩუსოვოი**.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფსკოვის ოლქი

შეიქმნა **პეჩორის** სასოფლო რაიონი, ცენტრი — ქალაქი **პეჩორი.**
შეუერთდა:
გდოვის სასოფლო რაიონს — ქალაქი გდოვი;
პეჩორის სასოფლო რაიონს — ქალაქი პეჩორი.

როსტოვის ოლქი

შეიქმნა სასოფლო რაიონები:
ბაგაევსკისა, ცენტრი — მუშათა ახალშენი **ბაგაევსკი;**
ვერხნი დონისა, ცენტრი — სტანიცა **კაზანსკაია;**
ტაცინსკისა, ცენტრი — მუშათა ახალშენი **ტაცინსკი.**

რიაზანის ოლქი

შეიქმნა სასოფლო რაიონები:
კლეპიკისა, ცენტრი — ქალაქი **სპას-კლეპიკი;**
უხოლოვოსი, ცენტრი — მუშათა ახალშენი **უხოლოვო.**

სარატოვის ოლქი

შეიქმნა სასოფლო რაიონები:
კრასნოარმეისკისა, ცენტრი — ქალაქი **კრასნოარმეისკი;**
რტიშჩევოსი, ცენტრი — ქალაქი **რტიშჩევო;**
სამოილოვკასი, ცენტრი — სოფელი **სამოილოვკა.**

სვერდლოვსკის ოლქი

შეიქმნა სასოფლო რაიონები:
არტისა, ცენტრი — მუშათა ახალშენი **არტი;**
ტავდასი, ცენტრი — ქალაქი **ტავდა.**
გაუქმდა ტაბორის სასოფლო რაიონი.

ტამბოვის ოლქი

შეიქმნა **სტაროიურევოს** სასოფლო რაიონი, ცენტრი — სოფელი **სტაროიურევო.**

ტომსკის ოლქი

კარგასოკის და ტეგულდეტის სამრეწველო რაიონები გარდაიქმნა სასოფლო რაიონებად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტულის ოლქი

შეიქმნა სასოფლო რაიონები:
არსენიევოსი, ცენტრი — დაბა **არსენიევო**;
ჩერნისა, ცენტრი — სოფელი **ჩერნი**.

ტიუმენის ოლქი

შეიქმნა **ნიუნეტავდინის** სასოფლო რაიონი, ცენტრი — სოფელი **ნიუნაია ტავდა**.

ულიანოვოს ოლქი

შეიქმნა სასოფლო რაიონები:
სტარაია კულატკასი, ცენტრი — სოფელი **სტარაია კულატკა**;
სურსკოესი, ცენტრი — მუშათა ახალშენი **სურსკოე**.

ჩელიაბინსკის ოლქი

შეიქმნა **ნიაზეპეტროვსკის** სასოფლო რაიონი, ცენტრი — ქალაქი **ნიაზეპეტროვსკი**.

შეუერთდა:
კუსას სასოფლო რაიონს — ქალაქი კუსა;
ნიაზეპეტროვსკის სასოფლო რაიონს — ქალაქი ნიაზეპეტროვსკი.

ჩიტას ოლქი

კარიმსკოეს და ჩიტას სასოფლო რაიონები გაერთიანდა ერთ **ჩიტას** სასოფლო რაიონად, ცენტრი — ქალაქი **ჩიტა**.

იაროსლავლის ოლქი

შეიქმნა სასოფლო რაიონები:
ბრეიტოვოსი, ცენტრი — სოფელი **ბრეიტოვო**;
ნეკრასოვსკოესი, ცენტრი — მუშათა ახალშენი **ნეკრასოვსკოე**.

ბაშკირეთის ასსრ

შეიქმნა სასოფლო რაიონები:
ბაკალისა, ცენტრი — სოფელი **ბაკალი**;
იგლინოსი, ცენტრი — მუშათა ახალშენი **იგლინო**;
კალტასისა, ცენტრი — სოფელი **კალტასი**;
სტერლიბაშევოსი, ცენტრი — სოფელი **სტერლიბაშევო**.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბურიატეთის ასსრ

შეიქმნა სასოფლო რაიონები:
ერავნინსკისა, ცენტრი — სოფელი **სოსნოვო-ოზიორსკოე;**
ზაკამენსკისა, ცენტრი — სოფელი **ცაკირი;**
ოკინსკისა, ცენტრი — სოფელი **ორლიკი.**

დაღესტნის ასსრ

შეიქმნა სასოფლო რაიონები:
აკუშასი, ცენტრი — სოფელი **აკუშა;**
გუმბეტისა, ცენტრი — სოფელი **მეხელტა;**
კულინისა, ცენტრი — სოფელი **ვაჩი;**
კურახისა, ცენტრი — სოფელი **კურახი;**
ჩაროდისა, ცენტრი — სოფელი **ცურიბი.**

მარეთის ასსრ

შეიქმნა **ნოვოტორიალის** სასოფლო რაიონი, ცენტრი — სოფელი **ნოვიტორიალი.**

მორდვეთის ასსრ

შეიქმნა სასოფლო რაიონები:
ინსარისა, ცენტრი — ქალაქი **ინსარი;**
იჩალკოვოსი, ცენტრი — სოფელი **კემლია;**
ქალაქი ინსარი შეუერთდა ინსარის სასოფლო რაიონს.

თათრეთის ასსრ

შეიქმნა სასოფლო რაიონები:
აგრიზისა, ცენტრი — ქალაქი **აგრიზი;**
ალექსეევსკოესი, ცენტრი — სოფელი **ალექსეევსკოე;**
აპასტოვოსი, ცენტრი — სოფელი **აპასტოვო.**
ქალაქი აგრიზი შეუერთდა აგრიზის სასოფლო რაიონს.

უდმურტეთის ასსრ

შეიქმნა **იარის** სასოფლო რაიონი, ცენტრი — მუშათა ახალშენი **იარი.**

ჩუვაშეთის ასსრ

შეიქმნა **მორგაუშის** სასოფლო რაიონი, ცენტრი — სოფელი **მორგაუში.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იაკუტიის ასსრ

გაუქმდა ბაბუშკინოს სამრეწველო რაიონი.

გადარქმეულია სასოფლო რაიონები:

პრიმორსკოესი — **ყიგანსკოეს** და

ინდიგირისა — **ტომპონსკოეს** სასოფლო რაიონებად. იანის სასოფლო რაიონის ცენტრი ქალაქ ვერხოიანსკიდან გადატანილია მუშათა ახალშენ ბატაგაიში.

ყაზახეთის სსრ

ბუგუნის სასოფლო რაიონის შექმნა

ყაზახეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1964 წლის 29 თებერვლის ბრძანებულებით სამხრეთ ყაზახეთის მხარის ჩიმკენტის ოლქის შემადგენლობაში შეიქმნა **ბუგუნის** სასოფლო რაიონი ცენტრით სოფელ **ტემირლანოვკაში.**

უზბეკეთის სსრ

სასოფლო რაიონების შექმნა

უზბეკეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1964 წლის 22 თებერვლის ბრძანებულებით დაკმაყოფილებულია მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოების აღმასკომების და ყარაკალპაკეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის შუამდგომლობანი და უზბეკეთის სს რესპუბლიკაში შექმნილია შემდეგი სასოფლო რაიონები:

სამარყანდის ოლქის **გალიაარალისა.** რაიონის ცენტრია ყიშლაყი **გალიაარალი;**

ანდიჟანის ოლქის **იმიერდარიისა.** რაიონის ცენტრია ყიშლაყი **ჯამაშუი;**

ყარაკალპაკეთის ასსრ **კუნგრადისა.** რაიონის ცენტრია ქალაქი **კუნგრადი;**

სურხანდარიას ოლქის **სარიასიისკისა.** რაიონის ცენტრია ყიშლაყი **უზუნი;**

სირდარიის ოლქის **ფარიშისა.** რაიონის ცენტრია ყიშლაყი **იანგიყიშლაყი;**

ფერგანის ოლქის **ფერგანისა.** რაიონის ცენტრია ყიშლაყი **ვუადილი;**

კაშკადარიას ოლქის **ჩირაკჩისა.** რაიონის ცენტრია ყიშლაყი **ჩირაკჩი.**

გადატანილია შემდეგი სასოფლო რაიონების ცენტრები:

ყაშყადარიას ოლქის კარშინისა — ყიშლაყ კამაშიდან ყიშლაყ **ბეშქენთში;**

ანდიჟანის ოლქის **ნამანგანისა** — ყიშლაყ ჯამაშუიდან ყიშლაყ **ტურაყურგანში;**

ყამყადარიას ოლქის **იაკაბაგისა** — დაბა სტანცია-იაკაბაგიდან ყიშლაყ **კამაშში.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაწილი II

განყოფილება პირველი

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

149 საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიებზე დეპუტატების მიერ შეტანილი საკითხების განხილვის მდგომარეობის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ უკანასკნელ პერიოდში საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა მნიშვნელოვნად გააუმჯობესეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეექვსე მოწვევის სესიებზე დეპუტატების მიერ შეტანილი საკითხების აღრიცხვის, განხილვის, გადაწყვეტისა და დეპუტატებისათვის პასუხის გაცემის საქმე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეექვსე მოწვევის სესიებზე დეპუტატების მიერ დაყენებული საკითხების დიდი ნაწილი დადებითად იქნა გადაწყვეტილი.

დადებითად იქნა გადაჭრილი დეპუტატების მიერ დაყენებული ჯავის რაიონში სკოლა-ინტერნატის მშენებლობის, ახმეტის რაიონის დაბა ახმეტაში სკოლა-ინტერნატის სასკოლო კორპუსის რეკონსტრუქციის, ბოლნისის რაიონში ორი საშუალო სკოლის მშენებლობისა და საკლასო ოთახების მიშენების, ახმეტის რაიონის სოფელ მატანში საშუალო სკოლის მშენებლობის, სასკოლო ავეჯის ახალი ნიმუშების დამზადების, ახალქალაქის რაიონის სოფლის მასწავლებელთათვის ინდივიდუალური ბინათმშენებლობისათვის კრედიტის გამოყოფის, ქ. თბილისის ორჯონიკიძის და პირველი მაისის რაიონებში გახანგრძლივებული დღის სკოლების გახსნის და სხვა საკითხები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეექვსე მოწვევის მეორე სესიაზე დეპუტატების მიერ დაყენებული საკითხები რაიონებისა და ქალაქების სამეურნეო და კულტურული მშენებლობის საჭიროებისათვის დამატებით თანხების გამოყოფის შესახებ დადებითად იქნა გადაწყვეტილი. ამ მიზნისათვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიის მიერ დამატებით გამოიყო 2449 ათასი მანეთი. დეპუტატების მიერ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს წინაშე დაყენებული საკითხების უმრავლესობა გადაწყვეტილია დადებითად.

ამასთან ერთად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ ზოგიერთ სამინისტროსა და უწყებაში ჯერ კიდევ ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიებზე დეპუტატებისა და მუდმივი კომისიების მიერ შეტანილი წინადადებების და გამოთქმული კრიტიკული შენიშვნების აღრიცხვის, რეგისტრაციისა და შესრულების შემოწმების საქმეში.

საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის, კულტურის, საავტომობილო ტრანსპორტის, კომუნალური მეურნეობის სამინისტროებში, საქართველოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტში დღემდე არ არის გახსნილი სპეციალური ჟურნალი და ცალკე არ აღირიცხება დეპუტატების მიერ მათ წინაშე დაყენებული საკითხები. საქართველოს სსრ მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტში გარდა იმისა, რომ ცალკე არ აღირიცხება დეპუტატების მიერ დაყენებული წინადადებები, არ აღმოჩნდა ამ საკითხზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1963 წლის 28 აპრილის დადგენილებაც.

ზოგიერთი სამინისტროს და უწყების ხელმძღვანელი მუშაკები სათანადო ყურადღებით არ ეკიდებიან დეპუტატების მიერ დაყენებული საკითხების განხილვასა და პასუხის გაცემას, რის გამოც დეპუტატებისათვის გაცემული ცალკეული პასუხები ზერელე და დაუსაბუთებელია, ხოლო ზოგიერთ წინადადებაზე დღემდე პასუხი სრულიად არაა გაცემული.

ასეთი მდგომარეობაა, მაგალითად, საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის, კულტურის, საავტომობილო ტრანსპორტის და კომუნალური მეურნეობის სამინისტროებში.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს არ განუხილავს დეპუტატების ო. საბაშვილის და უ. კაზარიანის მიერ დაყენებული საკითხები.

სამინისტროებისა და რესპუბლიკური უწყებების ხელმძღვანელთა მხრიდან უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა წინადადებებისა და კრიტიკული შენიშვნებისადმი ასეთი უყურადღებო დამოკიდებულება იწვევს იმას, რომ დღემდე გადაუჭრელი რჩება სამეურნეო და კულტურული მშენებლობის უმნიშვნელოვანესი საკითხები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოს საქართველოს სსრ სამინისტროების, უწყებების, დაწესებულებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიებზე დეპუტატების მიერ გამოთქმული კრიტიკული შენიშვნებისა და წინადადებების განხილვისა და გადაწყვეტის დროს ზუსტად დაიცვან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1963 წლის 28 აპრილის დადგენილება „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების, მუდმივი კომისიების წინადადებებისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიებზე გამოთქმული კრიტიკული შენიშვნების და წინადადებების აღრიცხვის, რეგისტრაციისა და შესრულების შემოწმების წესის დამტკიცების შესახებ“.

2. დაევალოს მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს პერიოდულად შეამოწმონ და განიხილონ ადგილობრივი საბჭოების სესიებზე დეპუტატების მიერ შეტანილი წინადადებების განხილვისა და შესრულების მიმდინარეობის საკითხები და დასახონ ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ ამ საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა ლიკვიდაციას.

3. მიღებულ იქნეს ცნობად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის ამხ. გ. ი. ჩოგოვაძის განცხადება, რომ უახლოეს დროში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბიუროს სხდომაზე გან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხილული იქნება საკითხი საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიებზე დეპუტატების მიერ შეტანილი წინადადებების განხილვის მდგომარეობის შესახებ.

4. დაევალოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საბჭოების მუშაობის საკითხების განყოფილებას (ამხ. მ. პ. ბაღათურია) თვალყური ადევნოს ამ დადგენილების შესრულების მიმდინარეობას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1964 წლის 11 მარტი.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

150 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების მიერ ამომრჩევლებისათვის ანგარიშების ჩაბარების მდგომარეობის შესახებ

მოისმინა რა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საბჭოების მუშაობის საკითხების განყოფილების გამგის ამხ. მ. პ. ბაღათურიას ინფორმაცია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების მიერ ამომრჩევლებისათვის ანგარიშების ჩაბარების მდგომარეობის შესახებ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. ეთხოვოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებს უახლოეს დროში ჩააბარონ ამომრჩევლებს ანგარიში ჩატარებული მუშაობის შესახებ.

2. დაევალოს მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს ყოველნაირი დახმარება აღმოუჩინონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებს ამომრჩევლებისათვის ანგარიშის ჩაბარებაში.

3. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების ანგარიშების ჩაბარების დროს ამომრჩეველთა მიერ წამოყენებული წინადადებები რეაგირებისათვის გაეგზავნოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს. ინფორმაცია მიღებული ზომების შესახებ წარმოდგენილ იქნეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1964 წლის 11 მარტი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

151 ნადირობის წესების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ

ნადირობის წესების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების მიზნით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. დაწესდეს, რომ ნადირობა, სათანადო ნებართვის გარეშე ან აკრძალულ ადგილებში ან აკრძალულ ვადებში, აკრძალული იარაღით და საშუალებებით, თუ ეს ჩადენილია პირველად, გამოიწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას — ჯარიმას 20 მანეთამდე, მთელი ნანადირევის და სანადირო იარაღის ჩამორთმევით მათი ღირებულების აუნაზღაურებლად.

იგივე ქმედობა, ჩადენილი ადმინისტრაციული ზემოქმედების ღონისძიების გამოყენების შემდეგ, —

ისჯება გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე ან ჯარიმით ორას მანეთამდე, მთელი ნანადირევის და სანადირო იარაღის კონფისკაციით.

2. მასალებს იმ პირის მიმართ, რომელმაც დაუშვა ამ ბრძანებულების პირველი პუნქტის პირველი ნაწილით გათვალისწინებული წესების დარღვევა, განიხილავს მშრომელთა დეპუტატების რაიონელი, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული ადმინისტრაციული კომისია.

3. ამ ბრძანებულების პირველი პუნქტის მეორე ნაწილის შესაბამისად საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 177 მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ნადირობა სათანადო ნებართვის გარეშე ან აკრძალულ ადგილებში ან აკრძალულ ვადებში, აკრძალული იარაღით და საშუალებებით, თუ ეს ჩადენილია ადმინისტრაციული ზემოქმედების ღონისძიების გამოყენების შემდეგ,—

ისჯება გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე, ან ჯარიმით ორას მანეთამდე, მთელი ნანადირევის და სანადირო იარაღის კონფისკაციით“.

4. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დაადგინოს ამ ბრძანებულების პირველი პუნქტის პირველი ნაწილის შეფარდების წესი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1964 წლის 11 მარტი.

განკოფილება მეორე

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

152 ჟურნალ „მნათობის“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პირველი ნომრის გამოსვლის ორმოცი წლისთავთან დაკავშირებით და ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარების საქმეში დამსახურებისათვის **ჟურნალი „მნათობი“** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1964 წლის 12 მარტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

153 ამხ. კ. ი. კოვზირიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით და სოფლის მეურნეობის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის სამგორის საჯიშე მეფრინველეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი კონსტანტინე იაკობის ძე **კოვზირიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1964 წლის 12 მარტი.

განყოფილება მესამე

საინფორმაციო ცნობა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 18 აგვისტოს ბრძანებულების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1964 წლის 11 მარტის ბრძანებულებით დააჯილდოვა „სახელოვანი დედის“ ორდენებითა და „დედობის მედლის“ მედლებით 587 მრავალშვილიანი დედა, მათ **შორის:**

ქ. თბილისიდან	38
ქ. რუსთავიდან	14
ახალციხის რაიონიდან	11
ბოლნისის „	425
ზუგდიდის „	12
მესტიის „	7
ყვარლის „	58
სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქიდან	27